



სააპელაციო საბჭოს
ბადაყვივთილიება
ქ. თბილისი



MES 9 22 0001284528



12/10/2022

**შპს იოანე პეტრიწის სახელობის სკოლა იბერიის ავტორიზაციის საკითხის
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოსთვის ხელახლა
განსახილველად დაბრუნების შესახებ**

შპს იოანე პეტრიწის სახელობის სკოლა იბერიის სააპელაციო საჩივრის (№924080, 19/08/2022) საავტორიზაციო დოკუმენტაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, 2022 წლის 26 ივლისის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს №844995 გადაწყვეტილებისა და №844752 სხდომის ოქმის, სააპელაციო საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარეების მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა 1 და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 99-ე მუხლის პირველი პუნქტისა და 101-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს შპს იოანე პეტრიწის სახელობის სკოლა იბერიის ავტორიზაციის საკითხი.
2. სააპელაციო საბჭოს 2022 წლის 12 ოქტომბრის N1283762 სხდომის ოქმის მეორე ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

3. დაევალოს სააპელაციო საბჭოს სამდივნოს გადაწყვეტილების დაინტერესებული მხარეებისათვის გაცნობის უზრუნველყოფა.
4. სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6) სარჩელის შეტანის გზით, კანონმდებლობით დადგენილი წესით და ვადაში.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი / სააპელაციო საბჭო
სხდომის თავმჯდომარე
ფარცვანია კახაბერ



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
სააპელაციო საბჭო
მდივანი
საბახტარიშვილი ანა

